

**ეთიკის კომისიის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე**

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი - კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. გ.-ლ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.03.2016

საჩივრის რეგისტრაციის N015/16

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. მ-ის მიმართ /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. მ-თვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

- 1.1 2016 წლის 10 მარტს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ი. გ-ლ-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. მ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.
- 1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ქალაქ თბილისში აქვს საკუთარი ფიტოთერაპიის ოფისი, სადაც 2015 წლის 24 თებერვალს მივიდა ვინმე ზ. დ და მუქარით გამოსძალა 380 (სამას ოთხმოცი) ლარი.
- 1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მომხდარი შეიტყო ადვოკატმა ვ. მ-მა, რომელმაც უთხრა, რომ განცხადებით მიმართავდა პროკურატურას და ზ. დ-ს „დააჭერინებდა.“ აღნიშნულისთვის ადვოკატმა მინდობილობა და 500 (ხუთასი) აშშ დოლარი მოითხოვა.
- 1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2015 წლის 30 აპრილს ნოტარიუს თ. ქ-თან დაამოწმა მინდობილობა და გადაუხადა ადვოკატს 500 (ხუთასი) აშშ დოლარი. ამის შემდეგ ადვოკატი არ დაკავშირებია, არ პასუხობდა მის ზარებს და არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულებები.

- 1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა გამოსძალა ფული და უხეშად დაარღვია მისი უფლებები, რის გამოც განიცადა ქონებრივი და მორალური ზიანი.
- 1.6 2016 წლის 08 ივნისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ი. გ-ლ-მ განაცხადა, რომ იგი პირველად შეხვდა ზ. დ-ს 2015 წლის 25 დეკემბერს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მას პირობა მისცა, რომ ზ. დ-ს დააბრუნებინებდა როგორც საადვოკატო მომსახურების ჰონორარს, ისე მისთვის გადაცემულ თანხას. ი. გ-ლ-ის განცხადებით, იგი ადვოკატს, სავარაუდოდ, ბოლოს შეხვდა 2016 წლის თებერვალში.
- 1.7 მეოთხე კოლეგიის განხილვის სხდომები გაიმართა 2017 წლის 19 ივლისსა და 03 აგვისტოს. კოლეგიამ, საჩივრის ავტორის თხოვნით საქმე განიხილა მისი დასწრების გარეშე.

2. მოწმის პოზიცია:

- 2.1 2016 წლის 08 ივნისის მოწმე ნ. ხ-მა - საჩივრის ავტორის შვილმა, საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განაცხადა, რომ ზ. დ-ს ი. გ-სგან ითხოვდა წამლის საფასურის დაბრუნებას, რომლის გამოყენების შედეგად, ზ. დ-ის განმარტებით, მამამისს ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა.
- 2.2 მოწმის განმარტებით, ი. გ-ს აწარმოებდა კლიენტების აღრიცხვის ჟურნალს, სადაც ზ. დ-ის კოორდინატები არ იყო მითითებული და, შესაბამისად, მას არ უსარგებლია ი. გ-ის მომსახურებით. ნ. ხ-ის განცხადებით, ზ. დ-მ საჩივრის ავტორს „გამოსძალა“ 380 (სამას ოთხმოცი) ლარი და ითხოვდა დამატებით 20-40 ლარს.
- 2.3 მოწმის განცხადებით, მეზობელმა ურჩია ადვოკატ ვ. მ-თვის მიემართათ საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით, რის შემდეგაც ისინი შეხვედნენ ადვოკატს მის ოფისში.
- 2.4 მოწმის განცხადებით, ადვოკატი ჰპირდებოდა ი. გ-ს, რომ შეძლებდა ზ. დ-ისათვის გადაცემული და ადვოკატის მომსახურებისათვის გადახდილი თანხების ზ. დ-სგან ამოღებას. მოწმის განმარტებით, ადვოკატმა მომსახურების თანხა მიიღო მინდობილობის გაფორმების შემდეგ.
- 2.5 მოწმის განმარტებით, ადვოკატი დაჰპირდა ი. გ-ს, რომ ზ. დ-ს „დააჭერინებდა.“ ადვოკატმა განცხადება შეიტანა პოლიციაში, მაგრამ ამის გარდა სხვა მოქმედებები არ განუხორციელებია. იგი არ უკავშირდებოდა კლიენტს და არ ატყობინებდა საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაციას.
- 2.6 მოწმის განცხადებით, ადვოკატს გადაუხადეს 500 (ხუთასი) აშშ დოლარი, ამის გარდა ადვოკატის მამა მკურნალობდა წურბელებით, ისე რომ არ გადაუხდია აღნიშნულის საფასური. ადვოკატი, მხოლოდ ერთხელ შეხვდა საჩივრის ავტორს, იმ დროს, როდესაც მამა მიიყვანა სამკურნალოდ.
- 2.7 მოწმის განცხადებით, ადვოკატთან მათმა საერთო ნაცნობმა აცნობა, რომ ვ. მ-ს შეხვდა ზ. დ-ს, რომელმაც ჩაიწერა მათი საუბარი და ესაუბრებოდა კამერების გამოყენებით, რის გამოც, სავარაუდოდ, ადვოკატი შეშინდა.
- 2.8 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა განცხადება შეიტანა პოლიციაში ზ. დ-ის წინააღმდეგ, რის შედეგადაც დაიკითხა საჩივრის ავტორი, თუმცა, მასთან ერთად ადვოკატი არ იყო. მოწმის განცხადებით, ადვოკატი აღარ ეკონტაქტებოდა ი. გ-ლ-ს, მიუხედავად სატელეფონო მცდელობებისა.

3. ადვოკატის პოზიცია:

- 3.1 2016 წლის 05 მაისს ადვოკატმა ვ. მ-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში იცნობდა ი. გ-ს, რომელმაც 2015 წლის თებერვალში მიმართა მას საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით.
- 3.2 ადვოკატის განმარტებით, ი. გ-ის ოფისში მივიდა ზ. დ. გაეცნო ჟურნალისტად და უთხრა, რომ ჰქონდა დაზარალებული ადამიანების სია, რომლებსაც ი. გ-ის წამლის მოხმარების შედეგად გაუუარესდათ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამის გამო ის ითხოვდა კომპენსაციას. მუქარის გამოყენების შემდეგ, შეშინებულმა ი. გ-მ გადასცა თანხა 380 (სამას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
- 3.3 ადვოკატის განცხადებით, მას ი. გ-მ მიმართა, რადგან სურდა გამოეყენებინა იურიდიული ბერკეტი, რომ აღნიშნულ პირებს აღარ შეეწუხებინათ. ვ. მ-ის განმარტებით, ი. გ-ს გაუწია შესაბამისი კონსულტაცია და შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი უნდა გასაუბრებოდა ზ. დ-ს და დაერწმუნებინა ის მისი ქმედების კანონსაწინააღმდეგობაში.
- 3.4 ადვოკატის განმარტებით, ოფისში შეხვდა ზ. დ-ს, რომელმაც განმარტა, რომ მისი ქმედება არ იყო კანონსაწინააღმდეგო და ყველა ზომას მიიღებდა ი. გ-ისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად, რადგან მისი წამლები ვნებდა ადამიანების ჯანმრთელობას. ადვოკატმა ზ. დ-ს პოზიცია ვერ შეაცვლევიან. ზ. დ-მ და მისმა თანმხლებმა პირმა მოინდომეს საუბრის ჩაწერა, რაზეც ადვოკატს უარი არ განუცხადებია, თუმცა ჩანაწერის ასლი ადვოკატისთვის არ გადაუციათ.
- 3.5 ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული შეხვედრის შესახებ აცნობა ი. გ-ს. ვ. მ-ის თქმით, ი. გ-მ თავიდანვე იცოდა, რომ ჯეროვანი საადვოკატო მომსახურების შემთხვევაშიც საქმე შეიძლებოდა მისთვის მისაღები შედეგით არ დასრულებულიყო.
- 3.6 ადვოკატის განცხადებით, ი. გ-ს არ დაჰპირებია ვინმეს დაკავებას და განუმარტა, რომ სხვა სახის სამართლებრივი ან არასამართლებრივი ღონისძიებების გატარება მისი კომპეტენციის ფარგლებს სცდებოდა. აღნიშნულ საქმეზე ი. გ-მ პროკურატურაში შეიტანა განცხადება, თუმცა სისხლის სამართლის საქმე არ აღმრულა.
- 3.7 ადვოკატის განმარტებით, 500 (ხუთასი) აშშ დოლარი ი. გ-მ საკუთარი ნებით გადასცა. ნებაყოფლობით გადაიხადა 300 (სამასი) აშშ დოლარი, 200 (ორასი) აშშ დოლარი კი ადვოკატის მამისათვის ჩატარებულ წურბელებით მკურნალობაში გამოიქცია.
- 3.8 ადვოკატის განმარტებით, ი. გ. მოითხოვდა გადახდილი ჰონორარის უკან დაბრუნებას, რამდენიმე ადამიანი მიუგზავნა ოფისში და ემუქრებოდა გურიის გამგებლისა და პოლიციის უფროსის საქმეში ჩარევით.
- 3.9 2016 წლის 18 ივლისს ადვოკატმა ვ. მ.-მა საპროცესო კოლეგიაში წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, მან საქმის წარმოების ერთ-ერთ გზად საჩივრის ავტორს შესთავაზა სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვა, რასაკვირველია, გარანტიის გარეშე. ი. გ-ლ.-მ განმარტა, რომ მისი მიზანი იყო მასთან აღარ გამოჩენილიყვნენ ზ. დ. და მისი თანმხლები პირი, ხოლო ამ მიზანს, ადვოკატის ვარაუდით, სწორედ აღნიშნული ტაქტიკის გამოყენებით მიაღწევდნენ. ადვოკატის განმარტებით, ჰონორარსა და სხვა საკითხებზე მასსა და საჩივრის ავტორს შორის შეთანხმება მოხდა ზეპირად.
- 3.10 ადვოკატის განმარტებით, პროკურატურამ რეაგირება არ მოახდინა საქმეზე სამი თვის განმავლობაში და სწორედ სამი თვის შემდეგ დაუკავშირდა მას საჩივრის ავტორი პრეტენზიით, რადგან საქმეში წინსვლა არ იყო. ვ. მ-ის განცხადებით, მან მიმართა გენერალურ ინსპექციას მიეღოთ ზომები განყოფილების მიმართ. წარმოება გაგრძელდა აღნიშნულის შემდეგაც, თუმცა,

მალე დაუკავშირდა მას საჩივრის ავტორი და, მიუხედავად განმარტებისა, რომ ჰონორარის ოდენობა შედეგის დადგენაზე არ იყო დამოკიდებული, მაინც მოითხოვა მომსახურების ანაზღაურების თანხის უკან დაბრუნება და არ სურდა საქმის სხვა ტაქტიკით წარმართვა.

- 3.11 ადვოკატის განცხადებით, მას მინდობილობა სჭირდებოდა წარმომადგენლობის რეალურობის დასადასტურებლად, მოლაპარაკების ეტაპზე, ხოლო ორდერი გამოწერა 2015 წლის თებერვალში. პროკურატურას, ადვოკატმა, მისი განცხადებით, მიმართა 2015 წლის მაისში.
- 3.12 ადვოკატის განმარტებით, ზ. დ. აცხადებდა, რომ იყო ჟურნალისტი და საჩივრის ავტორის ყოფილი კლიენტი, მისგან შეძენილი ჰქონდა ღვიძლის სამკურნალო წამალი, რომელიც ჯანმრთელობისათვის იყო საზიანო. შეძენის ფაქტს ადასტურებდა საჩივრის ავტორიც, მაგრამ შეძენის წერილობითი მტკიცებულება არ არსებობდა.
- 3.13 ადვოკატის განცხადებით, მან მიმართა პროკურატურას განცხადებით, რათა მიეწოდებინათ ინფორმაცია საქმის წარმოების ეტაპის შესახებ, თუმცა, ვინაიდან, საქმე აღძრული არ იყო, განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც ადვოკატმა არ გაასაჩივრა. თანაც, იმ დროს უკვე დამაბული ურთიერთობა არსებობდა მხარეებს შორის.
- 3.14 ადვოკატის განმარტებით, გენერალურ ინსპექციაში შეტანილ განცხადებაზე მათ პასუხი არ მიუღიათ, მხოლოდ ტელეფონით დაუკავშირდნენ, რის შემდეგაც ადვოკატი და საჩივრის ავტორი ესაუბრნენ პრეტენზიის ადრესატი პოლიციის განყოფილების წარმომადგენელს, რომელმაც სცადა გარკვევა, ხომ არ არსებობდა რაიმე სახის გადაცდომა მათი მხრიდან, რადგან დაუკავშირდნენ გენერალური ინსპექციიდან. ადვოკატმა პოლიციის განყოფილების უფროსს განუცხადა, რომ პრეტენზია შეეხებოდა საქმის გაჭიანურებასა და ზ. დ.-სთან დაკავშირების შეუძლებლობას იმის მიუხედავად, რომ პოლიციის აღნიშნულ განყოფილებას ჰქონდა გადაცემული ზ. დ.-ის საკონტაქტო რეკვიზიტები.
- 3.15 ადვოკატის განცხადებით, მან არ იცის თუ ვის დაეწერა გენერალურ ინსპექციაში საქმე და არც პასუხის შესახებ აქვს ინფორმაცია. მან განცხადებაში გააპროტესტა განყოფილების უმოქმედობა და მოითხოვა გენერალურ ინსპექციას დაევალებინა განყოფილებისათვის შესაბამისი ინფორმაციის გაცემა. ადვოკატის განმარტებით, მან განცხადებაში ზოგადად მიუთითა კანონდარღვევის შესახებ და არა კონკრეტული გამომძიებლის ქმედების მიმართ, ვინაიდან საქმე ეწერა პოლიციის განყოფილებას და პოლიციის უფროსი იყო პასუხისმგებელი პირი, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იძიებდა საქმეს.
- 3.16 ადვოკატის განმარტებით, იგი მინდობილობას პირველად გაეცნო ეთიკის კომისიის სხდომაზე. მოლაპარაკების ეტაპზე მინდობილობა მას თან ჰქონდა, სამუშაო მაგიდაზე, თუმცა, არ იყო გაცნობილი, რადგან დაავალა კლიენტს - საჩივრის ავტორს საადვოკატო მინდობილობის გაფორმება და კლიენტის მიმართ არსებული ნდობის გამო არ გაეცნო აღნიშნულ დოკუმენტს და არ იცოდა რა იყო დაფიქსირებული მინდობილობაში, ხოლო ზ. დ.-ს არ მოუთხოვია მინდობილობის გაცნობა.
- 3.17 ადვოკატის განცხადებით, იგი 2016 წლის 20 აგვისტომდე ეთიკის კომისიაში წარმომადგენს მტკიცებულებებს მის მიერ განხორციელებულ ქმედებებთან მიმართებით, კერძოდ, მისი წარმომადგენლობის დროს მან მიმართა განცხადებით პროკურატურას, გენერალურ ინსპექციას და შეხვდა პოლიციის უფროსს, წელიწადისა და ოთხი თვის მანძილზე. ადვოკატის განმარტებით,

მხოლოდ აღნიშნული ქმედებების განხორციელება გამოწვეული იყო საქმის სპეციფიკით და არა მისი ბრალით.

- 3.18 მეოთხე კოლეგიის განხილვის სხდომები გაიმართა 2017 წლის 19 ივლისსა და 03 აგვისტოს. ადვოკატმა განაცხადა, რომ მან მტკიცებულებები ვერ წარმოადგინა მხოლოდ ტექნიკური პრობლემის გამო, კემოდ გამოგზავნა ელექტრონული ფოსტით, მაგრამ ტექნიკური მიზეზის გამო მტკიცებულებები არ ჩაბარდა კომისიას. მტკიცებულებებს წარმოადგენდა ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილები საჩივრის ავტორისა და თავად ადვოკატის სახელზე.
- 3.19 ადვოკატის განმარტებით, მასსა და საჩივრის ავტორს შორის არსებობდა შეთანხმება, რომ თუ ზ. დ. რომელსაც ოფისში გაესაუბრებოდა ვ. მ. გააცნობიერებდა საკუთარ საქციელს, ამით დასრულდებოდა ადვოკატის მოქმედებები. დამატებითი ქმედებების მოთხოვნის შემთხვევაში საჭირო იყო ცალკე შეთანხმების არსებობა.
- 3.20 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან ეს შედეგი არ დადგა, მხარეები შეთანხმდნენ დამატებითი ქმედებების განხორციელების შესახებ. ჰონორარის სახით განისაზღვრა 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობის თანხა. განცხადებით მიმართა ადვოკატმა გენერალურ პროკურატურას და გამოიკითხა მხარეები. საქმის აღძვრაზე უარის შემდეგ მიემართა გენერალურ ინსპექციას, სადაც ასევე განხორციელდა შესაბამისი ქმედებები.
- 3.21 ადვოკატის განმარტებით, დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მას დაუკავშირდა საჩივრის ავტორი და მოსთხოვა თანხის დაბრუნება, რადგან, მისი მოსაზრებით, ადვოკატი მოქმედებდა ზ. დ-ის სასარგებლოდ. ვ. მ-მა განუმარტა მას ჰონორარის ანაზღაურების პირობები და საფუძვლები.
- 3.22 ადვოკატის განცხადებით, იგი არ ეთანხმება საჩივარს, რადგან თითოეულ ქმედებაზე არსებობდა შეთანხმება ი. გ-სთან. განხორციელებული ქმედებების გარდა არ არსებობდა სხვა გამოსავალი იმისათვის, რომ ზ. დ-ის მოქმედება აღკვეთილიყო. არსებობდა ზეპირი შეთანხმება, ხოლო წერილობითი შეთანხმება არ არსებობს. შეთანხმება არსებობდა სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ. გამოიწერა ორდერი.
- 3.23 ადვოკატის განმარტებით, მას არ მიუმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის, რადგან ეს არ იქნებოდა საქმის მოქნილი გადაწყვეტა. ზ. დ-თან დაკავშირება იყო ძალიან რთული - მის მოყვანას ადვოკატის ოფისში დასჭირდა სამი დღე. ზ. დ იყო „ავანტიურისტი“ და მის მიმართ საქმის სასარგებლოდ დასრულება და შემდგომ გადაწყვეტილების აღსრულება იქნებოდა შეუძლებელი. მას არ გააჩნდა ქონება საკუთრებაში.

4 დისციპლინური დევნის აღმგვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

- 4.1 2016 წლის 09 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ვ. მ-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.
- 4.2 საპროცესო კოლეგიის მოსაზრებით, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ვ. მ-მა მომჩივანის საქმე აწარმოა არაკვალიფიციურად და არ ასრულებდა მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობებს და არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ საჩივრის ავტორს, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის არ არსებობდა წერილობითი შეთანხმება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.1.2. ადვოკატის მიერ კლიენტის წარმომადგენლობის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე მოქმედება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილები.

4.2. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არ არსებობს სადავო გარემოებები.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ვ. მ-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ვ. მ-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.1.2. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.2. ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაც მოიცავს სრული ინფორმაციის დროულად მიწოდებას. კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება საშუალებას აძლევს მას, რომ ჩართული იყოს საქმის მსვლელობის პროცესში. კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეთანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

6.3. ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ „ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს

შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები.“

- 6.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებაში /დისციპლინური საქმე #034/11/ განმარტა, რომ: „ადვოკატს კანონით და პროფესიული ეთიკის კოდექსით ევალება კეთილსინდისიერად, კვალიფიციურად განახორციელოს წარმომადგენლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ სათანადო გულმოდგინებითა და ყველა შესაძლო რისკის შეფასებით დროულად და გასაგებ ენაზე მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და მასთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომელიც შეესაბამება კანონს.“
- 6.5 ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ხელშეკრულების მიხედვით. საჩივრის ავტორის განმარტებით, მასსა და ადვოკატს შორის დაიდო ზეპირი ხელშეკრულება. ასევე, ურთიერთობის წარმოშობას, ადასტურებს 2015 წლის 30 აპრილის ნოტარიულად დამოწმებული რწმუნებულება, რომელშიც მითითებულია, რომ ი. გ-ლ-მ ადვოკატ ვ. მ-ს მიანიჭა გარკვეული სახის უფლებამოსილებები. თუმცა, რწმუნებულებაში, რომელიც გაფორმებულია გენერალური მინდობილობის სახით, ჩამოთვლილია მხოლოდ ზოგადი სახის უფლებამოსილებები.
- 6.6 განხილვის კოლეგია, ამასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს ადვოკატის განმარტებას, რომ კლიენტის - საჩივრის ავტორის მიერ გადაცემულ რწმუნებულებას არ გაცნობია, არ იცოდა, თუ რა იყო მითითებული მასში და პირველად ეთიკის კომისიის საპროცესო სხდომაზე შეიტყო მისი შინაარსის შესახებ.
- 6.7 ადვოკატი, საკუთარ ზეპირ ახსნა-განმარტებაში, რომელიც წარმოადგინა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, დამატებით აცხადებდა, რომ პროკურატურის გადაწყვეტილება საქმეზე ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ არ გაასაჩივრა, მან მიმართა პროკურატურას განცხადებით, რათა მიეწოდებინათ ინფორმაცია საქმის წარმოების ეტაპის შესახებ, თუმცა, ვინაიდან, საქმე აღძრული არ იყო, განცხადება არ დაკმაყოფილდა, რაც ადვოკატმა არ გაასაჩივრა. ასევე, მისი განცხადებით, მან არ იცის თუ ვის დაეწერა გენერალურ ინსპექციაში საქმე და არც პასუხის შესახებ აქვს ინფორმაცია. ხოლო განცხადებაში ზოგადად მიუთითა კანონდარღვევის შესახებ და არა კონკრეტული გამომძიებლის ქმედების თაობაზე, ვინაიდან საქმე ეწერა პოლიციის განყოფილებას და პოლიციის უფროსი იყო პასუხისმგებელი პირი, მიუხედავად იმისა, რომ ის არ იძიებდა საქმეს.
- 6.8 ასევე, ადვოკატი აღნიშნავს, რომ მისთვის არ იყო ცნობილი კლიენტის მიერ მინდობილობაში მითითებული პირობების შესახებ, ვინაიდან, იგი, ზოგადად, ენდობა კლიენტებს და არ ჩათვალა საჭიროდ მინდობილობის შინაარსის შემოწმება. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქმის წარმოება მიმდინარეობდა საკმაოდ დიდ ხანს - წელიწადისა და ოთხი თვის მანძილზე, ხოლო, ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი მას თავად უკავშირდებოდა საკუთარი ინიციატივით, ასევე, მისი განცხადებით, ასევე, მან არ იცის თუ ვის დაეწერა გენერალურ ინსპექციაში საქმე და არც პასუხის შესახებ აქვს ინფორმაცია.
- 6.9 შესაბამისად, როგორც ზემოთ არის მითითებული, სადავოა გარკვეული ქმედებების განხორციელება. საჩივრის ავტორი აფიქსირებს პრეტენზიებს ადვოკატის მიმართ. აღნიშნულ პრეტენზიებს ადასტურებს მოწმე ნ. ხ მის მიერ წარმოდგენილ ზეპირ ახსნა-განმარტებაში. ხოლო ადვოკატი საკუთარ ახსნა-განმარტებებში აღნიშნავს, რომ არ განახორციელა გარკვეული ქმედებები

და არ ფლობს ინფორმაციას კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ პროკურატურასა და გენერალურ ინსპექციაში. ასევე, ადვოკატი აცხადებს, რომ შეთანხმება არსებობდა გარკვეულ მხოლოდ კონკრეტული - მცირე რაოდენობის ქმედებების განხორციელებასთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, საქმეში არ არსებობს წერილობითი შეთანხმება, რომელიც დაადასტურებდა ხელშეკრულების კონკრეტულ პირობებს და საკითხებს. ამიტომ, ადვოკატი ვერ ადასტურებს მისი პოზიციის სისწორეს.

- 6.10 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მათ შორის განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილ ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს წერილებს და საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებას, სადაც მითითებულია, რომ ადვოკატი ახორციელებდა გარკვეულ მოქმედებებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატმა განახორციელა კონკრეტული ქმედებები კლიენტის ინტერესების განსახორციელებლად. თუმცა, მომსახურება სრულად იქნა განხორციელებული თუ არა, აღნიშნული ადვოკატის მიერ ვერ დასტურდება. მოქმედებების ჩამონათვალი და ფარგლები მითითებული უნდა იყოს წერილობით შეთანხმებაში, რომლის წარმოდგენის შემთხვევაშიც ადვოკატი მის პოზიციას დაიცავდა, თუკი ხელშეკრულების მიხედვით განახორციელებდა მოქმედებებს.
- 6.11 წერილობითი შეთანხმების გაფორმების შეთავაზება ადვოკატის ინიციატივით უნდა მოდიოდეს. მიუხედავად იმისა, რომ ეთიკის კოდექსი სავალდებულოდ არ განსაზღვრავს შეთანხმების წერილობით ფორმას, შესაძლებელია ზეპირი შეთანხმების არსებობისას წარმოიშვას მტკიცების ტვირთის პრობლემა, კონკრეტულ შემთხვევაში არსებულ პრეტენზიებთან მიმართებით. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, რეკომენდირებულია, რომ ადვოკატს გაეფორმებინა წერილობითი შეთანხმება კლიენტთან, სადაც ზუსტად იქნებოდა მითითებული ხელშეკრულების საგანი და ადვოკატის მოვალეობები, გაწერილი დეტალურად.
- 6.12 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის პრაქტიკა და განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, რომელიც უზენაესმა სასამართლომ გააკეთა სასამართლოს მომართვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განხილვისას და გადაცდომასა და პასუხისმგებლობის ფორმას შორის ურთიერთშესაბამისად მიიჩნია ადვოკატ ვ. მ-ის მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
- 6.13 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 38-ე მუხლის თანახმად, ადვოკატისთვის კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შემთხვევაში, იგი უნდა შეიცავდეს რჩევებსა და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის მომავალში ჩადენის თავიდან აცილების მიზნით. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და იგი ადვოკატს ჩაბადება პირადად.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, მე-19, მე-20, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, 38-ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №015/16 ადვოკატ ვ. მ-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი:

/გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი:

/თორნიკე ბაქრაძე/